

შპს „წინანდალი - XXI საუკუნის საუკეთესო ღვინოები“
ფინანსური ანგარიშგება ,
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თბილისი 2025

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5
1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	6
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ძირითადი საშუალებები	13
5. მარაგები	14
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
9. საგადასახადო ვალდებულებები	15
10. მიღებული სესხები	15
11. შემოსავალი რეალიზაციიდან	15
12. მიწოდებისა და გაყიდვის ხარჯი	16
13. შრომის ანაზღაურების ხარჯი	16
14. საოპერაციო ხარჯი	16
15. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	16
16. ცვეთა/ამორტიზაცია	16
17. არასაოპერაციო შემოსავლები	17
18. არასაოპერაციო ხარჯები	17
19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	17
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19

შპს „წინანდალი - XXI საუკუნის ღვინოები“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023	01/01/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		-	-	-
ძირითადი საშუალებები	4	1,566,868	1,499,569	905,251
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,566,868	1,499,569	905,251
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	5	3,538,444	5,763,783	4,002,979
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,361,678	1,177,065	825,706
წინასწარ გადახდილი ხარჯები		-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	1,712,510	375,299	211,877
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,612,632	7,316,147	5,040,562
სულ აქტივები		9,179,499	8,765,716	5,945,813
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		4,554,346	3,493,854	3,069,292
სულ კაპიტალი		4,554,346	3,493,854	3,069,292
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,811,618	3,526,833	774,116
საგადასახადო ვალდებულებები	9	116,881	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,978,499	3,526,833	774,116
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	10	1,646,654	1,745,029	2,102,405
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,646,654	1,745,029	2,102,405
სულ ვალდებულებები		4,625,153	5,271,862	2,876,521
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,179,499	8,765,716	5,945,813

ხელმოწერი პირი

ზაზა ბახტურიძე

დირექტორი

შენიშვნები გვერდებზე 6-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „წინანდალი - XXI საუკუნის ღვინოები“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023	01/01/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		-	-	-
ძირითადი საშუალებები	4	1,566,868	1,499,569	905,251
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,566,868	1,499,569	905,251
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	5	3,538,444	5,763,783	4,002,979
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,361,678	1,177,065	825,706
წინასწარ გადახდილი ხარჯები		-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	1,712,510	375,299	211,877
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,612,632	7,316,147	5,040,562
სულ აქტივები		9,179,499	8,765,716	5,945,813
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		4,554,346	3,493,854	3,069,292
სულ კაპიტალი		4,554,346	3,493,854	3,069,292
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,811,618	3,526,833	774,116
საგადასახადო ვალდებულებები	9	116,881	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,978,499	3,526,833	774,116
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	10	1,646,654	1,745,029	2,102,405
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,646,654	1,745,029	2,102,405
სულ ვალდებულებები		4,625,153	5,271,862	2,876,521
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,179,499	8,765,716	5,945,813

ხელმოწერილია
 ზაზა ბახტურიძე
 დირექტორი



შენიშვნები გვერდებზე 6-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „წინანდალი - XXI საუკუნის ღვინოები“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	11	4,550,438	3,130,531
საერთო მოგება		4,550,438	3,130,531
მიწოდებისა და გაყიდვების ხარჯი	12	(542)	-
შრომის ანაზღაურების ხარჯი	13	(196,446)	(576,579)
საოპერაციო ხარჯი	14	(107,423)	-
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15	(3,030,384)	(2,084,791)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	16	(202,329)	(165,776)
სულ საოპერაციო ხარჯი		(3,537,125)	(2,350,667)
სულ საოპერაციო მოგება/ზარალი		1,013,313	779,864
არასაოპერაციო შემოსავლები	17	211,230	-
არასაოპერაციო ხარჯები	18	(164,051)	(355,302)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		47,179	(355,302)
მოგება დაბეგვრამდე		1,060,492	424,562
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		1,060,492	424,562
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		1,060,492	424,562

ხელმოწერი პირი

ზაზა ბახტურიძე

დირექტორი

შენიშვნები გვერდებზე 6-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „წინანდალი - XXI საუკუნის ღვინოები“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	11	4,550,438	3,130,531
საერთო მოგება		4,550,438	3,130,531
მიწოდებისა და გაყიდვების ხარჯი	12	(542)	-
შრომის ანაზღაურების ხარჯი	13	(196,446)	(576,579)
საოპერაციო ხარჯი	14	(107,423)	-
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15	(3,030,384)	(2,084,791)
ცვითა/ამორტიზაციის ხარჯი	16	(202,329)	(165,776)
სულ საოპერაციო ხარჯი		(3,537,125)	(2,350,667)
სულ საოპერაციო მოგება/ზარალი		1,013,313	779,864
არასაოპერაციო შემოსავლები	17	211,230	-
არასაოპერაციო ხარჯები	18	(164,051)	(355,302)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		47,179	(355,302)
მოგება დაბეგრამდე		1,060,492	424,562
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		1,060,492	424,562
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		1,060,492	424,562

ხელმოწერილია
 ზაზა ბახტურიძე
 დირექტორი



შენიშვნები გვერდებზე 6-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „წინანდალი - XXI საუკუნის ღვინოები“
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნები	2024	2023
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		1,388,406	1,092,110
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან		(51,195)	(928,688)
საკურსო სხვაობის გავლენა		-	-
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		1,337,211	163,422
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		375,299	211,877
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		1,712,510	375,299

შენიშვნები გვერდებზე 6-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1. ძირითადი საკმევანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „წინანდალი- XXI საუკუნისსაუკეთესო ღვინოები“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2003 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თელავის რაიონი, ს.წინანდალი. შპს „წინანდალი- XXI საუკუნისსაუკეთესო ღვინოები“ არის ღვინის მწარმეხელი კომპანია, დაარსებული საქართველოში. კომპანია ღვინის საწარმეხელ ყურძნის ნედლეულს ძირითადათ იძენს ფერმერებისგან. იგი ფლობს ღვინის წარმოებისა, შენახვისა, შესაბამის ტარაში ჩამოსხმისა და შეფუთვის აუცილებელ მოწყობილობა დანადგარებს. საწარმოებო დანადგარები განლაგებულია თელავის რაონში, სოფელ წინანდალში შპს „წინანდალი- XXI საუკუნისსაუკეთესო ღვინოები“-ს შენობაში. მზა პროდუქციის გაყიდვები ძირითადათ ხორციელდება ბითუმად, მზა პროდუქციის სავაჭრო ობიექტებზე მიწოდების გზით და ამასთანავე ხორციელდება ექსპორტი.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის ბოლოსთვის მხარეებს შორის განსაზღვრული აქციები მოცემულია ცხრილში. ქვემოთ გთავაზობ ინფორმაციის კომპანიის მფლობელი და მისი დირექტორის შესახებ

დირექტორი:

ზაზა ბახტურიძე (20001008328)

პარტნიორი:

ზაზა ბახტურიძე (20001008328) – 100% წილის მფლობელი

საოპერაციო გარემო

კომპანია არის ღვინის მწარმოებელი, რომელიც საქართველოში მოყვანილი ყურძნის ბაზაზე აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ღვინოს. კომპანია ორიენტირებულია როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ბაზრებზე.

ღვინის წარმოება ხორციელდება საწარმოში.საწარმო მოიცავს ყურძნის მიღების, დაჭყლეტის, ფერმენტაციის, დაძველების, ბოთლებში ჩამოსხმის და ეტიკეტირების ეტაპებს.საწარმოო პროცესის ტექნოლოგია შესაბამისობაშია ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან

წარმოებული ღვინო ძირითადად განკუთვნილია ექსპორტისთვის.საერთაშორისო ოპერაციები მოიცავს: საბაჟო დოკუმენტაციას, ლოჯისტიკას და რეგულაციებს.უცხოურ ვალუტაში შემოსავალი ზრდის ლარის კურსის ცვალებადობით გამოწვეულ რისკებს.

კომპანია ფლობს საცაგებს.ადგილობრივ ბაზარზე კომპანიებს სთავაზობს ღვინის შენახვის მომსახურებას.ეს სეგმენტი ქმნის კომპანიისთვის დამატებით დივერსიფიცირებულ შემოსავალს და ნაკლებად დამოკიდებულია სეზონურობაზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2016 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებები გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნაგანმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

მოგების და სხვა გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება მომსახურების გაწევას, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით.

ექსპორტზე გატანილი პროდუქტის გათავისუფლებულია დღგ-სგან საქართველოს კანონმდებლობით. ეს გათავისუფლება გულისხმობს, რომ ექსპორტზე რეალიზაციებზე არ ხდება დღგ-ს დარიცხვა, თუმცა კომპანიას აქვს უფლება ჩაითვალოს იმ შესყიდვებზე გადახდილი დღგ, რომლებიც ექსპორტთანაა დაკავშირებული.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და ფულს გზაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით, შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება 20% წლიური განაკვეთები:

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. აღნიშნულ შპს-ში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა.

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდამთმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით. კომპანიის ამონაგაი, ძირითადად წარმოდგენილია უცოურ ბაზარზე საქონლის ექსპორტით

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საქონლის მიღება ხდება საინვოისო ღირებულებით რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები. პერიოდის ბოლოს სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის

ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

სესხები

კომპანიას ლარის ვალუტაში აღებული აქვს „აგრო სესხები“ კომერციული ბანკისგან. იგი ყოველთვიურად იხდის სესხის პროცენტს და ძირ თანხას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. კომპანია დივიდენდის გამოცხადებას არ ახორციელებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

3.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გადასახადები

კომპანიას ძირითადად უწევს დღგ , საშემოსავლო და ქონების გადასახადების/გადასახდელების გადახდა. როდესაც კომპანია მომსახურებას ეწევა შესაძლებელია მიიღოს ე.წ ავანსი , რომელიც იბეგრება გარკვეულ საანგარიშგებო პერიოდში , ხოლო მომსახურების გაწევის დასრულების შემოდგომ შემოსავალი აღიარდება , მიღება/ჩაბარების თარიღის შესაბამისად და კუთვნილი დღგ-ს თანხა აისახება დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციაში . თუ ხელშეკრულებაში მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურების თანხა წარმოადგენს უცხოურ ვალუტას , შემოსავლის აღიარების დროს გაითვალისწინება მიღებული ავანსის და მიღება/ჩაბარების თარიღის კურსი , რა შემთხვევაშიც კუთვნილი დღგ-ს თანხა აისახება დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციაში.

ექსპორტი დღგ-სგან გათავისუფლებულია ჩათვლის უფლებით საქართველოს კანონმდებლობის (საქართველოს საგადასახადო კოდექსის) შესაბამისად.

კომპანიას ყავს შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებული პირები , რომელთაც უხდის ხელფასებს და ასევე მომსახურების ანაზღაურების სანაცვლოდ დაქირავებული პირები , რომელთაც უხდის მომსახურების ანაზღაურებას. ამ პიროვნებებზე გაცემული თანხები იბეგრება საშემოსავლო გადასახადით და აისახება საშემოსავლო დეკლარაციაში.

კომპანია მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, იხდის ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება.

კომპანია ასევე იხდის მიწაზე(არა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე) ქონების გადასახადს.

კომპანია დივიდენდს არ გაცემს , შესაბამისად მოგების გადასახადის ვალდებულება ამ და სხვა კუთხით არ წარმოეშობა.

კომპანიას არ წარმოეშობა ვალდებულება გადაიხადოს აქციზის გადასახადი , მისი ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე.

შპს „წინანდალი - XXI საუკუნის ღვინოები“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

4. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	შენობები	სულ
1/1/2024	-	-	-	-	1,449,569	1,449,569
შესყიდვა	4,500	4,237	306,664	4,226	-	
გაყიდვა	-	-	-	-	-	
შიდა გადაადგილება	-	-	-	-	-	
12/31/2024	4,500	4,237	306,664	4,226	1,449,569	1,769,197

ცვეთა

1/1/2024	-	-	-	-	-	-
ცვეთის დარიცხვა	(515)	(485)	(35,071)	(483)	(165,776)	
ცვეთის ამოტრიალება	-	-	-	-	-	
12/31/2024	(14,125)	(2,080)	(35,071)	(483)	(165,776)	202,329

საბალანსო ღირებულება

2024 წლის 31 დეკემბერი	3,986	3,753	271,594	3,742	1,283,793	1,566,868
------------------------	-------	-------	---------	-------	-----------	-----------

5. მარაგები

	12/31/2024	12/31/2023
საქონელი	174,407	-
ნედლეული და მასალები	6,370,311	5,763,783
საწვავი/ნავთობი	24,110	-
სულ მარაგები	6,568,828	5,763,783

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2024	12/31/2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,315,680	1,177,065
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1,405,998	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,361,678	1,177,065

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	12/31/2024	12/31/2023
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,712,510	375,299
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,712,510	375,299

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(2,811,616)	(3,526,833)
სხვა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,811,616)	(3,526,833)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წინა პერიოდთან შედარებით არის შემცირებული.

9. საგადასახადო ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
ერთიანი საგადასახადო ანგარიში	(166,881)	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(166,881)	-

10. მიღებული სესხები

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
	-	-	(1,646,654)	(1,745,029)
სულ მიღებული სესხები	-	-	(1,646,654)	(1,745,029)

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	4,550,438	3,130,531
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	4,550,438	3,130,531

კომპანიის შემოსავალი ორი სახისაა : 1) შემოსავალი დასაბეგრი რეალიზაციიდან და 2) შემოსავალი რეალიზაციიდან დღგ-სგან გათავისუფლებული.

12. მიწოდებისა და გაყიდვის ხარჯი

	2024	2023
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(542)	-
სულ მიწოდებისა და გაყიდვების ხარჯი	(542)	-

13. შრომის ანაზღაურების ხარჯი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(196,446)	(100,100)
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	(196,446)	(100,100)

14. საოპერაციო ხარჯი

	2024	2023
საოპერაციო ხარჯები	(107,423)	-
სულ საოპერაციო ხარჯი	(107,423)	-

15. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(3,030,384)	(2,084,791)
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(3,030,384)	(2,084,791)

16. ცვეთა/ამორტიზაცია

	2024	2023
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(202,329)	(165,776)
სულ ცვეთა/ამორტიზაცია	(202,329)	(165,776)

17. არასაოპერაციო შემოსავლები

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	211,230	-
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	211,230	-

18. არასაოპერაციო ხარჯები

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(164,051)	(355,302)
სულ მოგება საკურსო სხვაობიდან	(164,051)	(355,302)

19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით და ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში,

ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

	12/31/2024		12/31/2023	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,361,678	2,361,678	1,117,065	1,117,065
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,712,510	1,712,510	375,299	375,299
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,811,618	2,811,618	3,526,833	3,526,833

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია რაიმე ცვლილებას.

გარდა ზემოთ ნახსენებისა, ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში

ხელმოწერი პირი

ზაზა ბახტურიძე

დირექტორი

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია რაიმე ცვლილებას.

გარდა ზემოთ ნახსენებისა, ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში


ხელმოწერილია
ზაზა ბახტურიძე
დირექტორი